რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 165/თ

„12“ ივლისი, 2021 წელი,
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის შემოტანისას, დაკავებული ბრალდებულების სასამართლოს დროებითი განთავსების დანაყოფში დაშვების ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოს ყოველდღიურად უწევს მის განსჯადობას მიკუთვნებულ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობების განხილვა. იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული სასამართლოს დროებითი განთავსების დანაყოფში (რომელიც წარმოადგენს სასამართლოს გამგებლობაში არსებულ დაცულ ტერიტორიას) მოთავსდეს პირი, რომლის საქმე სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი წესის შესაბამისად მიღებული, ან საერთოდ არ ექვემდებარება რუსთავის საქალაქო ან გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს განსჯადობას, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს დაკავებულ ბრალდებულთა სასამართლოს დროებითი განთავსების დანაყოფში დაშვების ორგანიზაციული საკითხები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ „ო“და „ს“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების თანამშრომლებს, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტს დაევალოს, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის მიღებისას, თუ ბრალდებული დაკავებულია, გასცეს შუამდგომლობის კანცელარიაში ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი №1), ბრალდებულის ვინაობის მითითებით;

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის მანდატურებს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის აპარატის მანდატურს დაევალოს, სასამართლოს შენობაში არსებულ დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა დროებითი განთავსების დანაყოფში, ბრალდებული დაუშვას მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის კანცელარიაში ჩაბარების

დამადასტურებელი დოკუმენტის (დანართი №1) წარდგენის და რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თანაშემწისგან ან/და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნისგან ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ჩანიშვნის თაობაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ;

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თანაშემწეებს და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნებს დაევალოთ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ჩანიშვნისთანავე, ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდონ მანდატურის სამსახურის მანდატურებს, მანდატური თავის მხრივ მიღებულ ინფორმაციას ასახავს დანართ №1-ში;

4. მანდატურისთვის წარდგენილ დოკუმენტს (დანართი№1) აღრიცხვას და 3 თვე ინახავს: რუსთავის საქალაქო სასამართლოში - მანდატურის სამსახურის უფროსი, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში - მაგისტრატი მოსამართლის აპარატის მანდატური;

5. დამტკიცდეს დოკუმენტის ფორმის ნიმუში (დანართი №1), რომელსაც ავსებს (გარდა ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის თარიღისა) და გასცემს რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს კანცელარიის სპეციალისტი, განსახილველად წარმოდგენილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის, დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ;

6. ბრძანების განუხრელად შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსს;

7. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს;

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე

დამტკიცებულია
რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
2021 წლის „12“ ივლისის №165/თ ბრძანებით

დანართი №1

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის კანცელარიაში ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი

ბრალდებული:

_____

(სახელი, გვარი)

შუამდგომლობის შემოტანის თარიღი:_____ საათი: __:__

კანცელარიის თანამშრომელი /_____/
ხელმოწერა

ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის თარიღი:_____ საათი: __:__

მანდატურის სამსახურის თანამშრომელი /_____/
ხელმოწერა